EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

LTD BEQANASI v. GEORGIA
შპს "ბექანასი" საქართველოს წინააღმდეგ
საჩივარი N28407/19
გადაწყვეტილება
სტრასბურგი
11 ივლისი 2024

ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას

საქმეზე შპს "ბექანასი" საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:
სტეფანი მოუროუ- ვიკსტრომი, *თავმჯდომარე,*
ლადო ჭანტურია,
მიკოლა გნატოვსკი, მოსამართლეები
და მარტინა კელერი, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,
გაითვალისწინა რა:
საჩივარი (N28407/19) საქართველოს წინააღმდეგ, შეტანილი სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში

“კონვენცია”) 34-ე მუხლის შესაბამისად 2019 წლის 23 აპრილს შპს “ბექანასი”-ს, კომპანია რომელიც რეგისტრირებულია საქართველო, ლისი (“მომჩივანი კომპანია”) მიერ, რომელსაც წარმოადგენდნენ ქ-ნი თ.ონიანი, ბ-ნი დ. ჯავახიშვილი და ქ-ნი მ. ჭიკაძე, ადვოკატები რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ თბილისში.
გადაწყვეტილება, 1-ელი დამატებით ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე საჩივრის შესახებ, ეცნობოს საქართველოს მთავრობას (შემდგომში “მთავრობა”), რომელსაც წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან ბ-ნი ბ. ძამაშვილი და საჩივრის დანარჩენი ნაწილი გამოცხადდეს მიუღებლად;
მხარეთა მოსაზრებები;
2024 წლის 20 ივნისის დახურული თათბირის შემდეგ,
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

განსახილველი საქმის არსი

1. წინამდებარე საქმე ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის საფუძვლით, სახელმწიფოს მიერ მომჩივანი კომპანიის კუთვნილი ტრაქტორის კონფისკაციას, რომელიც კლასიფიცირებული იყო, როგორც „დანაშაულის იარაღი“.

I. ადმინისტრაციული სამართალწარმოება

2. 2018 წლის 27 ივლისს, მცხეთის რიონული სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლემ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (“საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო”) შუამდგომლობის საფუძველზე, მომჩივანი კომპანია დამნაშავედ ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში, რადგან იგი მოქმედი ნებართვის გარეშე ეწეოდა ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცის (კერძოდ, მისთვის ნებადართული ტერიტორიის გარეთ ტრაქტორის გამოყენება) და დააკისრა ჯარიმის გადახდა 1000 ლარის (“GEL”) (დაახლოებით 350 ევრო (EUR)) ოდენობით და დამატებით 201 ლარი (დაახლოებით 70 ევრო) მომჩივანი კომპანიის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციისთვის.
3. 2018 წლის 13 სექტემბერს, სახელმწიფოს მოთხოვნით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად გადასცა მცხეთის სააპელაციო სასამართლოს. 2018 წლის 5 ოქტომბერს, მაგისტრატი მოსამართლის

გადაწყვეტილებით, ჯარიმისა და კომპენსაციის გადახდასთან ერთად, მომჩივანი კომპანიის ტრაქტორის (2011 წელს 54,560 აშშ დოლარად ნაყიდი (დაახლოებით 49,087 ევრო)) კონფისკაცია. მაგისტრატმა მოსამართლემ დაადგინა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1-ე მუხლის თანახმად დანაშაულის იარაღად კლასიფიცირებული ინსტრუმენტი ექვემდებარებოდა კონფისკაციას (იხილეთ ქვემოთ, პარაგრაფი 8).

4. 2018 წლის 29 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის ყველა ინსტრუმენტის კონფისკაციას. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
5. მომჩივანი კომპანია, კონვენციის 1-ელი დამატებით ოქმის 1-ელი მუხლის მიხედვით, დავობდა, რომ მისი ტრაქტორის კონფისკაცია არაპროპორციული ღონისძიება იყო.

I. საკონსტიტუციო სამართალწარმოება

6. 2019 წლის 30 დეკემბერს მომჩივანმა კომპანიამ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა კონსტიტუციური სარჩელი და დავობდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1-ე მუხლი არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებს (საკუთრების უფლება). იგი ამტკიცებდა, *inter alia*, რომ კონფისკაციის იძულებითი ხასიათი, როგორც ამას ითვალისწინებს ასკ-ის 57^1-ე მუხლი, იყო არაკონსტიტუციური, რამდენადაც იგი ხელს უშლიდა სასამართლოებს, თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსებაში. გარდა ამისა, ადმინისტრაციული სანქციის ინდივიდუალიზაციის შეუძლებლობა ეწინააღმდეგებოდა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ პროპროციულობის პრინციპს, რასაც ითვალისწინებს კონსტიტუცია და კონვენცია.
7. 2020 წლის 12 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ზემოთ ხსენებული კონსტიტუციური სარჩელი და ასკ-ის 57^1-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად ცნო. მან, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინა, რომ კონფისკაციის იძულებითი ხასიათი პრობლემური იყო, ვინაიდან იგი არ

იძლეოდა საქმის ინდივიდუალური გარემოებების განხილვის ან ინდივიდუალური და პროპორციული სანქციების გამოყენების შესაძლებლობას.

შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო

8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ("ასკ"), შესაბამისი დებულებები, რომელიც იმ დროისათვის მოქმედი იყო, იკითხება შემდეგნაირად:

"**მუხლი 29. იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო**

იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი იყო … გულისხმობს მის სახელმწიფოს საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემას. კონფისკაციას ექვემდებარება მხოლოდ სამართალდამრღვევის პირაფ საკუთრებაში არსებული საგანი, თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

…"

"**მუხლი 57[1]. წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე**

წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარიდან 2 500 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით …"

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის 1-ელი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა

9. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივან კომპანიას ინციდენტზე პასუხისმგებელი ტრაქტორის მძღოლისაგან უნდა მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ მომჩივანი კომპანიის საჩივრის არსი ეხებოდა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საკუთრების კონფისკაციის იძულებით ბუნებას და არა ჯარიმის დაკისრებას ან.და მძღოლის

ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას (იხილეთ, *Andonoski v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 16225/08, §§ 23-24, 17 სექტემბერი 2015, და *B.K.M. Lojistik Tasimacilik Ticaret Limited Sirketi v. Slovenia*, no. 42079/12, § 50, 17 იანვარი 2017, შემდგომი მითითებებით).

10. რაც შეეხება ეროვნული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოუწურავობასთან დაკავშირებით მთავრობის საჩივრის მეორე ნაწილს, რომელიც შეეხებოდა მომჩივანი კომპანიის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას ადმინისტრაციული სამართალწარმოების პარალელურად და არა მისი დასრულების შემდეგ, სტრასბურგის სასამართლო მიუთითებს რომ მან საქართველოს წინააღმდეგ წინა საქმეებში უკვე განიხილა ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ეფექტურობა კონვენციის 35-ე მუხლის მიზენიბისთვის და დაასკვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებად, რომლისთვის მიმართვაც მომჩივნებს მოეთხოვებათ (იხილეთ, *A.D. and Others v. Georgia*, nos. 57864/17 და 2 სხვა, §50, 1 დეკემბერი 2022, შემდგომი მითითებებით). წინამდებარე საქმეში, რაიმე სხვა დასკვნის გამოტანის საფუძველი არ არსებობს.
11. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35 § 3 (ა) მუხლის მნიშვნელობით, იგი არც მიუღებელია სხვა რაიმე საფუძვლით. ამდენად, იგი უნდა გამოცხადდეს მისაღებად.
12. შესაბამისი ზოგადი პრინციპები შეჯამებული იქნა საქმეში *B.K.M. Lojistik Tasimacilik Ticaret Limited Sirketi v. Slovenia* (no. 42079/12, §§ 35-38, 17 იანვარი 2017; იხ. ასევე, *Markus v. Latvia,* no. 17483/10, §§ 64-67, 11 ივნისი 2020).
13. სადავო არ არის, რომ მომჩივანი კომპანიის საკუთრების კონფისკაცია წარმოადგენდა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევას. გარდა ამისა, იგი ეფუძნებოდა ასკ-ის 57^1 მუხლს, შესაბამისად გათვალისწინებული იყო კანონით. მომჩივანი კომპანია უპირისპირდება მთავრობის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ ტრაქტორის კონფისკაციას, წინამდებარე საქმის გარემოებებში, ჰქონდა გარემოს დაცვის ლეგიტიმური მიზანი. სასამართლო ვერ ხედავს ზემოხსენებული საკითხის განხილვის აუცილებლობას, რამდენადაც სადავო კონფისკაცია სხვა მიზეზებით არღვევდა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს.
14. სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე რომლითაც დაადგინა, რომ ასკ-ის 57^1-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი იყო

არაკონსტიტუციური, რამდენადაც იგი არ იძლეოდა სხვადასხვა ინტერესებს შორის დაბალანსების საშუალებას ან ჩარევის პროპორციულობის შეფასების შესაძლებლობას (იხილეთ ზემოთ, პარაგრაფი 7). სასამართლომ ანალოგიურად დაადგინა, თუმცა განსხვავებულ, მაგრამ შესადარ კონტექსტში, რომ სანქციის სახით კონფისკაციის ზომის სავალდებულო ბუნებას თავისთავად არ შეუძლია უზრუნველყოს აუცილებელი სამართლიანი ბალანსი საერთო ინტერესების მოთხოვნებსა და პირის საკუთრების უფლების დაცვას შორის და ართმევს შესაბამის მომჩივნებს შესაძლებლობას იდავონ საკუთარ საქმეებზე ან დავის შემთხვევაში წარმატების პერსპექტივას (იხილეთ, *Andonoski*, ციტირებული ზემოთ, §§ 37-38, და B.*K.M. Lojistik Tasimacilik Ticaret Limited Sirketi*, ციტირებული ზემოთ, §§ 44-49; ასევე იხილეთ, *G.I.E.M. S.r.l. and Others v. Italy* [GC], nos. 1828/06 და 2 სხვა, § 303, 28 ივნისი 2018; *Gyrlyan v. Russia*, no. 35943/15, §§ 31-33, 9 ოქტომბერი 2018; და *Krayeva v. Ukraine*, no. 72858/13, §§ 30-33, 13 იანვარი 2022). სასამართლო წინამდებარე საქმეში ვერ ხედავს ვერანაირ მიზეზს სხვაგვარად დადგენისათვის. წინამდებარე საქმეში, რაიმე სხვა დასკვნის გამოტანის საფუძველი არ არსებობს.

15. იმ დროისათვის მოქმედი ასკ-ის 57[1]-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულის ინსტრუმენტის კონფისკაცია სავალდებულო იყო. ამ კუთხით რაიმე დისკრეციის არარსებობა ეროვნულ სასამართლოებს ცალკეული სიტუაციების შეფასების შესაძლებლობის საშუალებას არ უტოვებდა, რაც ნებისმიერ ამგვარ შეფასებას უშედეგოდ აქცევს. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ პროპორციულობის დაცვისათვის, ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სიმძიმეს ხოლო სანქცია დანაშაულის სიმძიმეს - წინამდებარე საქმეში, ნებართვის პირობების შეუსრულებლობა. ზიანი, რომელიც მომჩივანმა კომპანიამ მიაყენა გარემოს, იყო უმნიშვნელო (70 ევრო, იხილეთ ზემოთ, პარაგრაფი 1) მაშინ, როცა ტრაქტორის კონფისკაციით გამოწვეული ზიანი რომელიც დაჯდა 49,087 ევრო, უდავოდ სოლიდური იყო მომჩივანი კომპანიისათვის. გარდა ამისა, კონფისკაციის ღონისძიება გამოიყენებოდა მატერიალურ კომპენსაციასთან ერთად სახელმწიფოს მიერ გამოწვეული ზიანისათვის (იხილეთ, იქვე). ამ გარემოებების გათვალისწინებითა და იმის ხაზგასმით, რომ პროპორციულობის შეფასება შეუძლებელი იყო ეროვნული გადაწყვეტილებების მიხედვით, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ 1-ელი დამატებით ოქმის 1-ელი მუხლის მეორე

პარაგრაფის თანდაყოლილი „სამართლიანი ბალანსის“ დაცვის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

16. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 1-ელი დამატებით ოქმის 1-ელი მუხლი.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

17. მომჩივანმა კომპანიამ მოითხოვა 49,087 ევროს ანაზღაურება მატერიალური ზიანისთვის, რაც არის ტრაქტორის ღირებულება და 64,232 ევროს ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის.
18. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივან კომპანიას სამოქალაქო სარჩელი არ შეუტანია ტრაქტორის მძღოლის წინააღმდეგ. რაც შეეხება მიუღებელ შემოსავალს, მათი აზრით, მოთხოვნილი თანხა დაუსაბუთებელი იყო.
19. სასამართლო იმეორებს, რომ მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით არსებობს პრინციპი, რომ მომჩივანი შეძლებისდაგვარად უნდა განთავსდეს ისეთ პოზიციაზე რომელზეც იგი იქნებოდა დარღვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ *restitutio in integrum*. ეს შეიძლება მოიცავდეს კომპენსაციას, როგორც რეალურად განცდილი ზარალის (*damnum emergens*) და ზარალის, ან შემცირებული მოგებისთვის, რომელიც მოსალოდნელია მომავალში (*lucrum cessans*). მომჩივანს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მატერიალური ზიანი გამოიწვია დარღვევამ ან სავარაუდო დარღვევებმა (იხილეთ, *G.I.E.M. S.r.l. and Others v. Italy* (სამართლიანი დაკმაყოფილება) [GC], nos. 1828/06 და 2 სხვა, §§ 37-39, 12 ივლისი 2023).
20. რაც შეეხება მატერიალური ზიანის შეფასებას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი კომპანიის მითითება 2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებულ ფასზე (იხილეთ ზემოთ, პარაგრაფი 3) არ უნდა იქნას გათვალისწინებული, ვინაიდან ზიანი იმ დროის მიხედვით უნდა განისაზღვროს, როდესაც კონფისკაცია მოხდა, ანუ 2018 წელი.
21. სასამართლო დამატებით მიიჩნევს, რომ, ტრაქტორის აღდგენა იმავე მდგომარეობაში როგორშიც კონფისკაციამდე იყო, მომჩივან კომპანიას იმავე მდგომარეობაში დააყენებს როგორშიც იქნებოდა დარღვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი. რაც შეეხება მომჩივანი კომპანიის მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის თაობაზე, სასამართლო, მის ხელთ არსებული დოკუმენტების გათვალისწინებით, დაუსაბუთებლად ცნობს და უარყოფს მას.

აქედან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად,

1. *აცხადებს* საჩივარს მისაღებად;
2. *ადგენს,* რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევას;
3. *ადგენს,*

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს უნდა დაუბრუნოს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების საბოლოო მიღების დღიდან სამი თვის განმავლობაში, ჩამორთმეული ტრაქტორი, იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იგი იყო კონფისკაციის დროს;

(ბ) რომ, ასეთი რესტიტუციის წარუმატებლობის შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივან კომპანიას უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია, იმავე სამი თვის ვადაში;

(გ) რომ სამი თვის გასვლიდან ანგარიშსწორებამდე ზემოაღნიშნულ თანხებზე გადასახდელი იქნება მარტივი საპროცენტო განაკვეთი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული საკრედიტო განაკვეთის ტოლი დეფოლტის პერიოდში, დამატებით 3 პროცენტული პუნქტი;

4. *არ აკმაყოფილებს* მომჩივანი კომპანიის სხვა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.